ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 6
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ. კალოთა „1 “ თებერვალი 2019 წელი

ერთის მხრივ **სსიპ– ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **შორენა მამულაძის** სახით და მეორეს მხრივ, „იმ თენგიზ ბოლქვაძე “ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ბოლქვაძე სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში– ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
საკანცალარიო მომსახურება და საჩუქრები და ჯილდოები (CPV 44500000, 4 CPV 4100000, CPV 44300000, CPV 26100000, 3 CPV 7400000, CPV 16100000, CPV 39200000, CPV 64200000 , CPV 24900000, CPV 18530000, CPV 24200000, CPV 31200000 შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოთ

1.2 ხელშეკრულებიტ გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემული დანართში რომელიც ტარმოადგენს ხელშეკრულების განაყოფელ ნაწილს

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4900(ოთხიათასცხრასი ლარი) ლარს დღგ–ს ჩათვლით;

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად, მიწოდებული საქონლის მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე;

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

4. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **სსიპ– ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლის დირექტორი შორენა მამულაძე;**

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე: **ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი კალოთა;**

5.2 საქონლის მიწოდება მიმწოდებლის მხრიდან განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე;

6. მხარეთა უფლება– მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამისილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.4 **მიმწოდებელი ვალდებულია:**
6.4.1 მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.4.2 შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, წუნდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის გამოცვლის ან/და შეკეთების გზით;
6.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7. გარანტია

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული პროდუქციის საგარანტიო ვადა განისაზღვრება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წლის ვადით;
7.2 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ექსპლუატაციისას, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,3%–ის ოდენობით;
8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან;

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;
9.4 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5 სელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

9.6 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს;

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1.02.2019 წლიდან **2019 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით;

12.2 ხელშეკრულების მე–7 მუხლი ძალაშია საქონლის მთლიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში;

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ– ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა;	„ იმ თენგიზ ბოლქვაძე“
ს/კ: 248 053 920;	ს/კ: 61009006669
მის: სოფ.კალოთა;	მის: ხულო;
ბ/კ: LBRTGE22;	ბ/კ: BPTG22;
ა/ნ: GE10LB0121151301370000;	ა/ნ: GE51BO 112117140856000;
ტელ: 595910071	ტელ: 598099595
სსიპ– ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლის დირექტორი შორენა მამულაძე	დირექტორი თენგიზ ბოლქვაძე
_____	_____